თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3118286

ნომერი: AR1479226

თარიღი : 16.02.2017

გაცემის თარიღი : 24.02.2017

გაცნობის თარიღი : 24.02.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ანა პოლიტკოვსკაია , N 50 , კორპუსი 1-2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო რევიშვილი პ/ნ 37001000691
- თბილისი ა.პოლიტკოვსკაიას ქ. N 18 ბ. 61

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

## გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1479226 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. #50, კორპ. #1-2-ში (ს/კ #01.14.05.003.004) დაშენებასთან დაკავშირებით საკითხის განხილვის შემთხვევაში წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2013 წლის 22 იანვრის #512800 ბრძანებით ქ. თბილისში, ა. პოლიტკოვსკაიას (ყოფ. ჯიქიას) ქ. №18-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.14.05.003.004), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის (დაშენება) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

2017 წლის 22 თებერვალს #3098055 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ჯიქიას ქ. #18-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.14.05.003.004), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის (დაშენება) მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა დ გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. აღნიშნული მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე # AR1372001 და #AR1479226 შეტყობინებების საფუძველზე სამსახურის მიერ 17.02.2017წ. ჩატარდა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომა, რომელზეც მოწვეული იყავით როგორც დაინტერესებული მხარე. (იხ. დანართი: 17.02.2017წ. #ო-43 ოქმი.)

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7)

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. #50, კორპ. #1-2-ში (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.